| | | | |
|---|---|---|---|
| Номер: | 0811/784/26 | | |
| Вид: | Служебная записка | | |
| Дата: | 11-08-2026 00:00 | | |
| Срок: | | | |
| Направление: | Внутренний | | |
| Страницы: | | | |
| Внешний документ: | | | |
| Инициатор: | Анна Дадиани | Операционная дирекция<br>Служба организационного обеспечения<br>Административно-хозяйственный отдел | |
| Подписанты: | Сергей Полушкин | Операционная дирекция | |
| Визаторы: | Миранда Арчуадзе | Операционная дирекция<br>Служба организационного обеспечения<br>Начальник службы | ✔ Визировано<br>13-08-2026 12:40 |
| | Леван Тотадзе | Операционная дирекция<br>Служба организационного обеспечения<br>Административно-хозяйственный отдел<br>Начальник отдела | ✔ Визировано<br>12-08-2026 14:34 |
| | Софья Кахниашвли | Операционная дирекция | ✔ Визировано<br>13-08-2026 14:03 |
| Адресаты: | Софио Хажомия | Операционная дирекция<br>Служба организационного обеспечения<br>Административно-хозяйственный отдел | |
| Заголовок: | ТЗ-закупка офисной мебели | | |

ვამტკიცებ:

შპს „თელმიკოს"

საოპერაციო დირექტორი

ს. პოლუშკინი

«13» აპრილი 2026წ.

ტექნიკური დავალება

მზა საოფისე სავარძლების/სკამების შესყიდვა და ავეჯის დამზადება და მიწოდება

შწკპ 2026 ლოტი: 683.26.00001

1. შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობა

| № | პროდუქციის დასახელება | ტექნიკური მოთხოვნები | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი მიმღები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | საოფისე მაგიდა | 1. კომპიუტერის ლამინატის მაგიდა, ღია ფერის ხის ეფექტით, ლითონის ფეხებზე, ჭრილით სადენებისთვის, პლასტმასის თავსახურით ჭრილზე და თარო პროცესორისთვის (სიმ x სიგრ x სიგ) 2. 78 X 140 X 70  | ცალი | 2 | ქ.თბილისი ი. სუხიშვილის #5. შპს «თელმიკო» |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2. | პრინტერის ტუმბო | პრინტერის ტუმბო ერთი თაროთი (წინა ნაწილი (კარები უნდა იყოს მაგიდის ფერის), უკან და გვერდითი ნაწილები – თეთრი) (სმ×გ×სიღ) 80×70×50<br> | ცალი | 4 | ქ.თბილისი<br>ი. სუხიშვილის #5.<br>შპს «თელმიკო» |
| 3. | საოფისე სავარძელი | <br>**გადასაკრავი მასალა -** დასაჯდომი ზედაპირი - გამძლე ქსოვილისგან;<br>ზურგის საყრდენი- ელასტიური ბადე დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არანაკლებ 180 კგ;<br>ხუთსხივიანი ალუმინის ბაზით გორგოლაჭებზე<br>ფერი - შავი | ცალი | 30 | ქ.თბილისი<br>პეტრე იბერის ქ.<br>#16<br>შპს «თელმიკო» |
| 4. | საოფისე სკამი კლიენტთა მომსახურების ცენტრების ოპერატორებისთვის | <br>**გადასაკრავი მასალა -** დასაჯდომი ზედაპირი - გამძლე ქსოვილისგან;<br>ზურგის საყრდენი- ელასტიური ბადე, დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არანაკლებ 180 კგ; | ცალი | 12 | ქ.თბილისი<br>პეტრე იბერის ქ.<br>#16<br>შპს «თელმიკო» |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ხუთსხივიანი ალუმინის ბაზით-<br>გორგოლაჭებზე.<br>ფერი - შავი | | | |
| 5. | ტყავის საოფისე სავარძელი | <br>**გადასაკრავი მასალა -** ტყავი ან მაღალი ხარისხის ტყავის შემცვლელი (დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არანაკლებ 180 კგ)<br>ხუთსხივიანი ალუმინის ბაზით<br>გორგოლაჭებზე.<br>ფერი - შავი | ცალი | 1 | ქ.თბილისი ოთარ ჩხეიძის ქ. #10<br>შპს «თელმიკო» |
| 6. | ვიზიტორის სკამი კლიენტთა მომსახურების ცენტრებისთვის | <br>**გადასაკრავი მასალა -** დასაჯდომი ზედაპირი - გამძლე ქსოვილისგან, ზურგის საყრდენი- ელასტიური ბადე. კარკასი- მეტალის, საყრდენი - ოთხი არაგორგოლაჭიანი ფეხით;<br>ფერი - შავი | ცალი | 13 | ქ.თბილისი პეტრე იბერის ქ. #16<br>შპს «თელმიკო» |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7. | ვიზიტორის ტყავის სკამი | <br>**გადასაკრავი მასალა -** ტყავი ან ტყავის შემცვლელი, დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არანაკლებ 180 კგ). მეტალის კარკასი, ოთხი არაგორგოლაჭიანი ფეხით, ფერი - შავი | ცალი | 2 | ქ.თბილისი ოთარ ჩხეიძის ქ. #10 შპს «თელმიკო» |
| 8. | სამზარეულოს სკამი | <br>**გადასაკრავი მასალა -** ტყავი ან ტყავის შემცვლელი (დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არანაკლებ 180 კგ). მეტალის კარკასი, ოთხი არაგორგოლაჭიანი ფეხით | ცალი | 5 | ქ.თბილისი პეტრე იბერის ქ. #16 შპს «თელმიკო» |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9. | სამზარეულოს მაგიდა | <br><br>**მასალა:** ლამინირებული MDF მაღალი ხარისხის ან ანალოგიური მასალა, მარტივად გასაწმენდი და გამძლე საფარით.<br><br>კარკასი/ფეხები: მყარი კონსტრუქცია, მეტალის ან მაღალი ხარისხის მასალისგან | ცალი | 2 | ქ.თბილისი პეტრე იბერის ქ. #16 შპს «თელმიკო» |

**2. საქონლის მიწოდების ვადები**

**2.1 საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად**

მზა სავარძლები და სკამები — პოზიციები № 3, 4, 5, 6, 7, 8 — 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში დამკვეთის შეტყობინების მომენტიდან, ხოლო № 1, 2 და 9 პოზიციების ავეჯის დამზადება — 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

**2.2 საქონლის მიწოდება**

შეძენილი საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მყიდველის ობიექტამდე, რომელიც მდებარეობს მისამართებზე: ქ.თბილისი, ოთარ ჩხეიძის ქ. #10, პეტრე იბერის ქ. #16, ი. სუხიშვილის #5.

**3. მოთხოვნები საოფისე სავარძლებისა და სკამების მიმართ**

საოფისე სკამები და სავარძლები უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების, ერგონომიული კონსტრუქციის და გათვლილი ინტენსიური გამოყენებისთვის საოფისე პირობებში.

**3.1. მოთხოვნები ცხრილში მითითებული პოზიციების № 3, 4, 5 მიმართ (გორგოლაჭებზე მექანიზმიანი სავარძლები)**

სავარძლის კონსტრუქცია უნდა იყოს მტკიცე, საიმედო და ერგონომიული; კარკასი და ძირითადი მზიდი ელემენტები დამზადებული უნდა იყოს ლითონისგან, ბაზა — ხუთსხივიანი ალუმინის ჯვარედინი

კონსტრუქცია (ჯვარა) გორგოლაჭებზე. სავარძალმა უნდა უზრუნველყოს კომფორტული და უსაფრთხო ექსპლუატაცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში, აგრეთვე მომხმარებლის ზურგისა და სხეულის სწორი მხარდაჭერა. ძირითადმა ერგონომიულმა ელემენტებმა მოდელის კონსტრუქციის შესაბამისად უნდა უზრუნველყონ რეგულირების შესაძლებლობა, მათ შორის სავარძლის, ზურგის საყრდენის, თავის საყრდენისა და წელის საყრდენის სიმაღლისა და მდგომარეობის რეგულირება.

**მექანიზმი**: სინქრონიზებული მრავალფუნქციური მექანიზმი, სავარძლის სიმაღლის რეგულირებისა და ქანაობის რეჟიმის ფუნქციით, ზურგის საყრდენის სამუშაო მდგომარეობაში დაფიქსირებისა და ზურგის საყრდენის მდგომარეობის რეგულირების შესაძლებლობით.

**3.2. მოთხოვნები ცხრილში მითითებული პოზიციების № 6, 7, 8 მიმართ (სტაციონარული სკამები, ოთხ ფეხზე)**

სკამის კონსტრუქცია უნდა იყოს მტკიცე და საიმედო; კარკასი — მეტალის, საყრდენი — ოთხი არაგორგოლაჭიანი ფეხი. სკამმა უნდა უზრუნველყოს კომფორტული და უსაფრთხო ექსპლუატაცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში, აგრეთვე მომხმარებლის ზურგისა და სხეულის სწორი მხარდაჭერა.

**3.3. ზოგადი მოთხოვნა**

შემოთავაზებულმა საქონელმა (ცხრილში მითითებული პოზიციები № 3–8) უნდა უზრუნველყოს კომფორტი, ერგონომიულობა და უსაფრთხო ექსპლუატაცია ხანგრძლივი გამოყენების პირობებში.

**4. მოთხოვნები ავეჯის დასამზადებელი მასალების მიმართ**

- ✓ ავეჯი დამზადებული უნდა იყოს კარგი ხარისხის ლამინატით
- ✓ მაგიდის ლითონის ფეხები უნდა იყოს თერმულად დამუშავებული
- ✓ ფერი და ზომა შეთანხმებული უნდა იყოს დამკვეთთან
- ✓ დამკვეთთან შეთანხმებით დასაშვებია ავეჯის დიზაინში ცვლილებების შეტანა, იმ პირობით, რომ დაცული ან გაუმჯობესებული იქნება დადგენილი ტექნიკური მახასიათებლები

**5. მოთხოვნები საგარანტიო ვადის მიმართ და (ან) მისაწოდებელი საქონლის ხარისხის მოცულობის მიმართ.**

მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა - არანაკლებ 1 წელი.

**6. მოთხოვნები თანმხლები სამუშაოების ჩატარებასა და მიწოდების შესრულებაზე:**

- ავეჯის აწყობა და მონტაჟი ადგილზე ხორციელდება მომწოდებლის ძალებით, ამასთან, აღნიშნული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი უნდა იყოს ჩართული კომერციული წინადადების ფასში
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავეჯის მიწოდება ტექნიკურ დავალებაში მითითებული სრული მოცულობით.

**7. მოთხოვნები შესასყიდი საქონლის გაგზავნისა და მიწოდების მიმართ**

საქონლის დატვირთვა, მისი მიწოდება დამკვეთის საწყობამდე ან ოფისამდე უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ძალებით. შესყიდვის მონაწილემ თავისი წინადადების ფასში უნდა შეიტანოს საქონლის დატვირთვისა და მიწოდების ხარჯები. საქონლის გადმოტვირთვის სამუშაოებს დამკვეთის საწყობში

ახორციელებს დამკვეთი მიმწოდებლის მონაწილეობით, ოფისებში გადმოტვირთვის-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებს მომწოდებელი.

**8. მოთხოვნები შესასყიდი საქონლის ტარისა და შეფუთვის მიმართ**

მისაწოდებელი საქონელი უნდა გაიგზავნოს შეფუთვაში. შეფუთვა უნდა უზრუნველყოფდეს საქონლის სრულ დაცულობას დაზიანებისა და გაფუჭებისგან ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს.

**9. მოთხოვნები საქონლის მიღების მიმართ**

ავეჯის მიწოდება უნდა მოხდეს სასაქონლო დოკუმენტაციის კომპლექტთან ერთად.

**10. მოთხოვნები ანგარიშსწორების წესის მიმართ**

ანგარიშსწორების წესი და პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების გადახდა ხორციელდება 30-ე კალენდარულ დღეს მიმწოდებლის მიერ სრული დოკუმენტაციის წარდგენის დღიდან: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ორმხრივად დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტი (ორიგინალი) და სხვა დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა გამოსასვლელ ან არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება ხდება პირველივე მომდევნო სამუშაო დღეს).

**11. მოთხოვნები შესყიდვის მონაწილეთა მიმართ**

- 3 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება ან მინიმუმ 3 შესრულებული ხელშეკრულება.
- ამონაწერი მეწარმეთა და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრიდან, მიღებული შესყიდვაში მონაწილეობაზე განცხადების მიღების ვადის დასრულებამდე არა უადრეს ერთი თვისა.
- ფასი შემოთავაზებული უნდა იყოს ცალ-ცალკე თითოეული პოზიციისთვის და წინადადების მთლიანი თანხა, დღგ-ს გარეშე

**კითხვების დაზუსტება ტექნიკური დავალების შესახებ:** ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი ლევან თოთაძე: ტელ: 591 110 110, levan.totadze@telmico.ge

**შეთანხმებულია:**

**ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი** ______ **მ. არჩუაძე**

(თანამდებობა) (ხელმოწერა) (გაშიფრული ხელმოწერა)

**ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი** ______ **ლ. თოთაძე**

(თანამდებობა) (ხელმოწერა) (გაშიფრული ხელმოწერა)